


პირა, 11 დეკემბერი 1916 წ.

რედაქციის აღმანი:
თფილის, ოლქას ქუჩა, № 6.

— ვალ 15 პაპ. —

შოთა რეზა მარტივაძე №50

1916 კი პალ



ბატონ ეშმაქს, ჯოჯოხეთში,
ჰქონდა ერთი დიდი კალა.
გარს ცხრა ცხენი ჯირითობდა
შვაზე ერჭო მსხვილი პალა.

ქართველი
მოღვაწე

ჩამა გუპაში

(დასასრული*)

ცნობა, დათა ბუქაძის მიერ თვითმოძრავი წისკვილის გამოყონების შესახებ, ვრცლათ განვითარა ქართველ ბურუჟათა ორგანო „ჩუღურეთში“. გაზეოთ 28 პრილის მეთაურ წერილში სწერდა:

„არავისთვის საეჭვო არ არის, რომ რაც მეტი ლოფლათი და ქონება აქვს ერს, მით უფრო მდიდარია იგი, ხოლო რაც ნაკლებ სიმდიდრის პატრონია ერი, მით უფრო დარიბია იგი. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ხალხის ნივთიერ გამდიდრებას და გვევინია, რომ ამ საქმეში ძლიერს დახმარებას განვიწევენ უმთავრესთა ჩვენი ტეხნიკისა. სამეურნეო გაზეთ „ტყლაბში“ მოყვანილი ცნობა ინჟინერი დავით ბუქაძის მიერ თვითმოძრავი წისკვილის მოვნების შესახებ, თუ არა ვცდებით, სიმართლე უნდა იყოს. უკვე შესდგა ქართველ აქციონერთა საზოგადოება, სახელწოდებით „ხევსურეთი“, რომლის ძირითადი თანხა უკვე ვიდა 100 თუმნამდე, რომელიც დამზადებს სპეციალურათ შხოლოდ ამ სისტემის წისკვილებს და ხელმისაწილომ ფასში მიაწვდის ქართველებს.“

გაზეთ „ჩუღურეთის“ წერილში დიდი აღტაცება გამოიწვია ქიზიყსა, ზემო იმერეთსა და სხვა უწყლო პროვინციებში, საღაც ეგზომ საგრძნობელია წისკვილთა ნაკლებობა და სიშორე. დავით ბუქაძის სახელი ლამისი გამოჩენილ მკითხვეთა სახელს გაუთანასწორდა. სოფელში თუ რაიმე მძიმე საკითხი დაისმებოდა, მაგალითად გზის მთელ ჭევა ხარწყავი არხის გაწმენდა, მაშინვე იტყოდნენ ამას ჩვენ კი არა დავით ბუქაძეც ვერაფერს მოუხერხებსო.

გაზეთი „საჩერელის“, რეპარტიონი ვანუა ახლა თითქო განზე იდგა. იგი შხოლოდ სადილებს მიიჩნევდა დავით ბუქაძისას, ხოლო ცნობებს მის შე-

სახებ სხვა გაზეთებში ათავსებდა. თითონ მარტო სენსაციურ ამბებს უთმობდა აღგილს. 12 მაისის ნომერში გას. „საჩერელი“ სწერდა:

„გუშინ თვილისში ჩამოვიდა გარე კახეთის საზოგადოებათა დეპუტაცია, აღგილობრივ მამასახლისთა და მარშლის წანამდლობით. დეპუტაცია, გუშინ, დილის 11 საათზე, წრეულდა ინჟინერ დავით ბუქაძეს, გააცნო აღნიშნულ რაიონის უმწეო მდგომარეობა სასმელი და სარწყავი წყლის უქონლობის გამო და სოხოვა მოუპოვოს მათ წყალი. ინჟინერმა აღერისანათ მიიღო დეპუტაცია და დახმარებაც აღუთქვა“.

16 მაისს სამხატვრო უურნალი „დომხალი“ სწერდა:

„ქართველ მხატვარ-მუსიკოსთა“ საზოგადოების დაავალა ჩვენს გამოჩენილ კომპოზიტორს დავით ბუქაძეს, ეს ზაფხული სვანეთსა და გურია-სამეგრელოში გაატაროს აღგილობრივ საერო და საეკლესიო ჰანგათა ჩასაწერათ. მგოსანი თანახმა წინადადებისა. მას იმედი აქვს ამავე ზაფხულში დაამთავროს თავისი ახალი ამერა: „დარჯვან-ქალი“. შინაარსი იღებულია „კაცია აღამიინიდან“ უცელელათ“.

დიდი კაცი ხომ ირშაბათსაც დიდი უნდა იყოს და აი საორშაბათო გაზეთ „მთხლე“-ში ვკითხულობთ:

„ჩვენი სასიქადულო მოღვაწე, ექიმი ფილოსოფიისა, დავით ბუქაძე ამ დღეებში გორში მიუწვევია ქალაქის გამეობას ქალაქის ელექტრონით განათების მოსაწყობათ. ჩვენი ხალხი ბოლოს და ბოლოს გონს მოდის. ბ-ნი დათო ქალაქიდან დილით ჭავა ბათონისკენ მიმავალ მატარებლით და გზა და გზა გაიღლის ავჭალაში, მცხეთაში, ქსანში, კასპში, გრაკალში და მივა გორს“.

პატივცემული დავით ბუქაძე ისე სკურავდა თავის დიდების ღალადისში, როგორც ხინკალი ერბოში. როგორც ზევით მოვიხსენიეთ ის უნიკო, ან უკვეთა ვსტკვათ უჭირუ კაცი არ იყო. იგი ჩინებულათ ხედავდა, თუ რას ნიშნავს სიტყვა ქართულ

*) სილვ ეშტაკის მათრახი № 44.

ცხოვრებაში და კიდევაც სარგებლობდა ამ დაკვირვებით. უკვე მთელი ტომები დაიწერა მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ საქმე არავის უნახავს და ეს უსაქმობა იღნავაც არ უშლიდა ხელს დავითის ხახელის განლილებას. გაზეთები ყველაფერს ჩინქებულათ აქახრაკებდნენ და დავითის უსაქმურობაც მისი სასარგებლო გამოდიოდა.

საორაზაბათო გაზეთმა „მთხლემ“ შემდეგ ნოტიში ასეთი შენიშვნა მოათვასა:

„როგორც გავიგეო ინჯინერ-ტექნიკოსის ბ-ნ დათო ბუქაძის გორს გამგზავრება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა, ვინაიდან ის იყვლევს ნიაღავის ანალიზს ბორჩალოში განზრახულ სამეცნიერო სკოლის აღილისას. ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა სოხოვს მას ჯერ ეს საქმე დააგვირგვინოს და შემდეგ მიბრძანდეს გორს. მოსალოდნელია გორელებმა დაუთმონ“. გორელებს რასაკვირველია არ გასჭირებიათ „დათმობა“, ვინაიდან ფიქრადაც არ შესვლიათ ქალაქის ელექტრონიო განათება. მიუხედვათ ამისა მათ გაიგეს ყოველშემთხვევაში, თუ ვის უნდა მიმართონ საჭიროების დროს.

„ქართველ გიგინისტთა საზოგადოების“ ორგანო, ურნალი „თავარი· 16 ოქტომბრის ნომრუში ურჩევდა თავის წევრთ:

„ვინ არ იცის, თუ რა მოსახმარია აბანო. ყველა ერსა და ნაციასა აქვს თავისი სისტემის აბანო, რომლის დანიშნულებაც არის ბანაბა შიგ. ქართველ ხალხს საბანო აბანო არა არანი. ეს აშენია რასაკვირველია შეუმნიერელი არ დარჩებოდა გაზეთის შეშაკთ. გაზეთ „საჩერეში“ ყველაზე უწინ ალინიშნა იგი. იქ ეწერა: „ფრიად უსიამონო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩენს მკითხველებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეო, ჩენი დადებული მოღვაწე დავით ბუქაძე მძიმე ავათ შექნილა. ქართველ ექიმთა კონსილიუმს მისთვის წინადადება მიუკია როი სამი თვით დასცენოს საღმე საგარაკო აღგილას. ავათმყოფს კატეგორიული უარი განუცხადებია ამ წინადადების ასრულებაზე, ვინაიდან მას დაწყებული აქვს რამდენიმე პასუხსაგები საქმე და არ უნდა ხელი შეუშეას მათ“. ამავე ავათმყოფობის შესახებ „ქართველ ექიმ-

რეპარტიორი გაზეთ „საჩერეშისა“ ვანო, კვირუში სამჯერ სადილობდა დავით ბუქაძისას და ძლიერ დაუხალოებდა მის ოჯახობას. ქ-ნი ვარდო არაფერს არა ზოგავდა სტუმრისთვის და აშენა მოწყენა ემჩერებდა მის უმანქო სახეს, როცა სუფრას ვანოც არ ამშვენებდა და ამხიარულებდა. დავითს ახლა რამდენიმე უსაქმო და ჯამგირიანი სამსახური ეჭირა, რითაც საქმაო საარსებო წყარო მოუდიოდა. სადილ-ვახშმათ სახლში იშვიათად შემოივლიდა, ძილისთვისაც გვიან ბრუნდებოდა და ისიც ხშირად შექეიფიანებული. ვარდოს საყვედურს პირველ ხანებში სხეა და სხეა გასამართლებელ საბუთებს უპირდაპირებდა, ხოლო ბოლოს და ბოლოს ყურადღების ლირსადაც არა ხდიდა.

— მიკვირს ღმერთმანი ეს ახირება! — შეუტია ერთხელ მეუღლეს დავითმა, — უჩემოდ ხომ იცი ქვა არ გადატარულდება, რა ჩემი ბრალია რომ ასეთი როლი მერგო ცხოვრებაშია ხოლმე.

სიტყვა „ხოლმე“ ყველაზე უფრო საყვარელი სიტყვა იყო დავითისათვის და მას წამდა უწუმ ჩასკეცებდა ისეთ უხერხულ ალაგას, სადაც იგი ყოველივე მნიშვნელობას ჰყარგავდა.

— რომ იბერები რას იბერები, თუ იცი? — ენერგიულათ შემოუტია გარდომ, — ქოთნისა და ციცხვის არ იყოს სხვას თუ მოატყუებ, თორემ მე შენივრათ ვიცი შენი ასავალ დასავალი.

ამ მუსაიფა მცირე გვლენა იქნია დავითზე, რის გმო შეორე დღეს ის არცერთ კრებას არ დასტურებია. ეს ამბავი რასაკვირველია შეუმნიერელი არ დარჩებოდა გაზეთის შეშაკთ. გაზეთ „საჩერეში“ ყველაზე უწინ ალინიშნა იგი. იქ ეწერა:

„ფრიად უსიამონო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩენს მკითხველებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეო, ჩენი დადებული მოღვაწე დავით ბუქაძე მძიმე ავათ შექნილა. ქართველ ექიმთა კონსილიუმს მისთვის წინადადება მიუკია როი სამი თვით დასცენოს საღმე საგარაკო აღგილას. ავათმყოფს კატეგორიული უარი განუცხადებია ამ წინადადების ასრულებაზე, ვინაიდან მას დაწყებული აქვს რამდენიმე პასუხსაგები საქმე და არ უნდა ხელი შეუშეას მათ“. ამავე ავათმყოფობის შესახებ „ქართველ ექიმ-

თა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების“ ორგანო „ჩიყვი“ სწერდა:

„ცნობილია, რომ ადამიანს ზედმეტი ურომა ღალაში. ღალალულს მოსვენება ექირვება. ბ-ნი დავით ბუქაძე სწორეთ ამ სენით არის დავადებული. მართალია მას ექნევა აგრეთვე გულის სიგანიერე, რაც აშერათ გამოსჭვივის მაჯისცემის მოდუნებისაგან, მაგრამ ესცე იმ ნიადაგზე, აღმცენებულია, ქართველი მოლვაშე და მერე ასეთი წარჩინებული არ შეიძლება ემსხვერპლის ასეთ უმნიშვნელო რამეს და ჩვენი ვალია მას ვეტირისუფლოთ.“

მეორე დღეს, როცა კურატივით კისერ ჩასუქებული დავით ბუქაძე „ქართველ ბეითალთა საზოგადოების“ გამგეობის კრებას დაესწრო, ცველა აღტაცებით შეეგება მას. თეატრალურ უურნალის „ჩიჩილაკის“ რედაქტორი მყის მიიჭრა მასთან და ორივე ხელით ჩამოართო მას ხელი.

ბ-ნებო, ძნელია ყველაფრის აწერა, რა წარმატებასაც დავით ბუქაძემ მიაღწია. როდესაც ქართულ პანთეონის დანიშნულებაზე ლაპარაკი ჩამოვარდება მყისვე ყველის მეხსიერებაში უნდღიერ გაიღლვებს ხოლმე ქართველი მოლვაშის დავით ბუქაძის სახელი.

სამწუხარო და პირდაპირ აუხსნელი ის გარემოებაა, თუ რამ გაიძირია მეუღლე ასეთი წარჩინებული გვამისა ქალბატონი ვარდო, რომელიც აგრ რამდენიმე დღეა განშორდა გმარს.

ეშმაკი.

ქრონიკა

♦ ნიჭიერ ახალგაზრდათა დამშმარე საზოგადოება „მშედი“ ახლო მომავალში ხსნის.. სახადილოს ბინა უკვე მზათარის ძელი სემენარიის შენობაში. სამზარეულოს უფროს ზედამხედველათ მოწვეულია მალაქია კერავლიშვილი; ჭურჭლების მრეცხელით ახალგაზრდა ნიჭიერი ყმატვილი თელო ლილიობაძე; შეშის დამპობათ ახალგაზრდა მეშეშე ვარდენ პალოინი. („სახალხო ფურცელი“, 735.)

♦ ავტომობილის მსხვერპლი. 28 ნოემბერს, ერევნის მოედანზე (მოედანი მანც არ ყოფილოყო) შოთერმა, პრაპორშტიქმა მელიქ შახნაზაროვმა, სამხედრო ავტომობილი № 160 დააჯარა მოხუც ქალს სოფიო კირიაკოვისას და გასრისა. უბედურბის ალაგას აუარებელმა ხალხმა შოთარა თავი, მაგრამ დადაკაცის სიცოცხლე ვერ გადაარჩინა*) („სახალ. ფურც.“ 735.)

♦ მერამდენეა? (გამოცანა) კვირის, 4 დეკემბერს თფილისის საბჭოს ხმოსნები მ. ვ. ლუკა-ვიჩის მეთაურობით მიემგზავრებიან ბულგარული იქაური წყაროების დასათვალიერებლათ.**) (სახ ფურ. 735).

♦ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ახალციხის განყოფილებას გადაუგზავნა: 12 ცალი დახაზული რვეული: 9 ცალი დაუხაზვი; 11 ცალი საანგარიშო და 13 ცალი ქართული წერის რვეული. (საქართველო).

♦ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობამ დაადგინა გაუგზავნოს ახალციხის განყოფილებას 8 ცალი „ანგარიში“ ეგნატი ხრამელაშვილისა [ნაწილი და რამდენიმე სანგარიშო რვეულიც. (საქართველო).

♦ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას განუზრახის გაუგზავნოს ახალციხის განყოფილებას 6 ცალი „ანგარიში“ ეგნატი ხრამელაშვილისა [ნაწილი და რამდენიმე სანგარიშო რვეულიც. (საქართველო).


♦ „ბირჟ. ვედომ.“ სიტყვით, როსტოვში დაიშნულ გენერალ მეირის ალგას ვაჭავის აღმოცემისტრის თანამდებობაზე დანიშნეს პოლ

*) შართლაც ახირებულია! თუ კი უარებენში ხალხმა მოყენოს თავი სპარალო გასრესილი მოხუცი რაომ გარდაიცვალა? დაიღლაც უფალო სამართალი შენ!

**) თუ ახლად გასცენებულ ჯეკ ლონდონს დაშავებთ, პირველუფლეობით ადამიანები დადიოდენ ასე ერთად წესზე („ვოლოპოზიზე“,) თელიფისის ხმოსნების მოუხსირეს სარულეს ბულგარებში, რომ უნებულ ეჭვი შეგემარება ადამიანს.

კოვნიკი კლიუგე. ახალი ობერ პოლიციელისტერი კლიუგე ადგენს ახალ შტატს თავისი კანცელია-რიისათვის, რომელიც იშყოფება.. მოსკოვში. (კავკ. სლოვო).

♦ ბიჭიც ასეთი უნდა!*) ლილოს მერძევეთა ამხანაგობა მეოთხე წელიწადი არსებობს. საქმე თანდათან ჩამოქვევითდა... ამ უამიდ ამხანაგობა თითქმის დაუქმებულია. დარჩა მხოლოდ ერთი მოსამსახურე ბიჭი, რომლის მოვალეობას უქმდა შყოფი ცხენების მოვლა შეაღენს. მოსამსახურე იღებს 15 მანეთს დღურათ. მაგრამ ეს შედარებით არაფერია ცხენების საკვებ ხარჯთან". (მოსავალი).



განათლებული ჟანდარმი

"აკადემიური მტრედი ქდის
თავი გამოჟუდია,
ასლანძელი მეზავრობა
ძნელი საქმეა სწორეთ".
ეოლომონ ზურგილიძე.

მე, თუ ახლა დასაწყევლათ ვწნე გამოვიმეტე, ასე დავწყევლი:

— არამაც აგცილებია რკინის გზით მოგზაურობა მეთქი. ის კი ვერ გავიგე თითონ მე ვინ დამწყევლა, მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ამ დღეებში ყარსისაკენ მომიწია მოგზაურობა.

ამისათვის წინდა-წინვე მიეიღო საჭირო ზომები. ანდერძი დავწერე, აღსარება იღვიარე, ვეზიარე, ცოლ-შვილსა და მეგობარ ნათესავთ გამოვთხოვე და თფილისის საღალის მეორე კლასის დარბაზში შეადლის 3 საათიდან გიახლი. მართალია მატარებელი შუალმის 12 ნახევრამდე არ გაღიოდა, მაგრამ ვისწრაფოდი ბილეთის ამღებთა რიგში ჩადგომას. „კირშიგან გამოიცნობა მეგობარ ყოფა მოყვრისათ“ იტყვიან. ერთი ჩემი მეგობარი საღალურში გამომყვა, ბილეთის აღებას გიშველიო, რიგ რიგობით გაეჩერდეთ, როცა შენ დაიღლები ფეხზე დგო-

*) თვით საზოგადოებაზე არაფერს ვიტევთ, გინაიდნ ის თითქმის უკვე გაუქმებულა, ვიტევთ მხოლოდ იმას, რომ კადეც გარდა ხსნს გაუქმდა.

მით მე გამოგეცვლებიო. წარმოიდგინეთ ჩვენთვის სხვებს მოესწროთ—კასის წინ კარგა გრძელი კუდი იყო, ასე რომ ჩემს მეგობარს ჩადგომა მე 18 ერგო.

წესიერების დამცველი აქვე დგას...

...ვაკვირდები ჩემს მეგობარს, მე 18 ადგილის ნაცვლად მე 26 უჭირავს... 10 წუთის შემდეგ ჩემი მეგობრის წინ უკვე 34 კაცი დგას... ყველა მგზავრი ვინც წინა რიგში დადგომა მოსაწრო წინათ უნდარმს „გაეცნა“... ერთი პატარა ყმაწვილი, რომელსაც რეინის გზის მოსამსახურის ქუდი ხურავს, რიგს გარეშე ხან ერთის მაგიერათ იღებს ბილეთს, ხან მეორის. უანდარმიც მის უესახებ უუბნებოდა: დროის დამცველი არამეტ?

— ერთ მანეთ.

— მაგ ფასად ბებიაშენი აგილებს. უუმეხად მუუბნება იგი. ხუთ მანეთ ნაკლებ არ ირჯება.

დრო მიღის... ვატუბაბ რომ წაუსვლელი დავრჩები. გავტედე გაუტედავი. უანდარმს მივმართე:

— ბატონი უანდარმო! თქვენ თვალწინ უწესობას სჩადიან, რიგს არ დაგიდევენ, ბოლოს მოსულები წინ დგებიან, ერთი ვიღაც ლაწირაკი (შეიძლება ჯიბგირიც) სხვების მაგიერათ რიგს გარეშე უკვე მეექცევავ იღებს ბილეთს.

— თქვენ ვინა ხართ?

— მე პრესის წარმომადგენელი გახლავართ.

— პრესის? სადა სდგას თქვენი პრესი?

— ?

(მე უცებ მომაგონდა, რომ „პრესით“ თვის პკრავენ, თვის კი სამხედრო უწყება ხმარობს და თივის მოიჯარადებს ბილეთს რიგს გარეშე აძლევენ. უანდარმსაც სწორეთ მოიჯარადე ვეგონე.

— უკაცრავათ, მე იმ პრესის წარმომადგენელი კი არ ვარ თვის „დასაბრესავათ“ რომ ხმარობენ, არამედ იმ პრესის წარმომადგენელი რომლითაც უსამართლობას „პრესავენ“, მე ვაზეთში ვმუშაობ.

— დოკუმენტი გაქვთ, მიჩვენეთ.

— ინებეთ...

— ას უკაცრავათ, გვაპატიეთ, საერთო არეულობაა, მობრძანდით რიგს გარეშე, რატომ ამდენ ხანს არ მიჩვენეთ...

მხოლოდ ერთხელ გამომადგა რედაქციის ბილეთი.

აფინა.

ՃԸՆՅԱ

(ՑՈՒԱ ԵՎՇԱՋԿԵԿ)

ՃԵԼԵՅՑՈ! ԵՎԵՐՆՈ ԿԵՐԱՐ. Տ. Ի. Հ.
ՈԿՄԱՆ ԽԵՂԻՉԵՆ, ԸՎՈՆԻՉ ԵԱԶԱՆ;
ԵՎԵՐՆՈ ՍԱՎԵՐ: ՑՄՇԻ-ԿՐՈՎՈ,
ԸՆ ՔՄԻ՞ ՔՄԻ՞ ԵԱԶԱՆ.

ՏԱՎԵՐՆՈ ՏԱՎԵՐ: ԻՆԳԱԼՍ
ԽԱՄՈՎԵՎԱԼՈՒ ՏԱՐԵՎԱ;
ՏԱԿՈՎԵԼՈՒ ՏԵԽՈՎ ՄՈՋՎՈՒՆՈՒ
ԿԵՎԵԼԱ ՔԱԼՈՒ ՄՏՎԱՐԵՎԱ.

ՏԱՄՈՎԿՐԾՈՒԹ... ՏԱՄՈՎՈՒՆՆՈՒ
ՑՄԱ-ԸՎԻՆՈՒՆԾՈՒՆ ԸԿԵՑՑԵ.
ԿԱԽՄԱՆ ՇԵՎԵՐՈՎՈՒ, ԵՎԼԱԾՄՈՒ
ՄԱԼԳԱՌՄԱ ԵՆԾՅԿԵՑՑԵ...

ՑՄԱՆ ԸՆ ՄԵՎԵՐՆՈՒ
ՏԱ, ՄԻՆԱՆ ԿԵՄՎԵՐԵՑՈՒ...
ՑՈՆ ՑԵՄԿԼԱՎԵԼԵ, ՑՄՇԻՑԵՏՍ
ԼԱ ՇԵՎԻՌՈՒ ՇԵՄՊՈՎԵՐԵՑՈՒ?
ՑՄԱՆ ՑՄՎԵՐՆԵԼ ՄԵՎԵՐԵՑՆ,
ՏԱ ՄՆԴԱՏ ՑԵՎՐՈ ՄԵՎԵՐԵՑՆ;
ԿԱՄԱ ԿԱՄԱ ԸՆԾԱՌԳՈ“,
ՄԱՏ ԵՎՈՎԵԿ ՄԵՎԵՇԻՇԵ.

ՑՄՎԵՐՆԵԼԵՐՈՒ: Եյս, ոյ,
ԲԵՎԵ ԲԵՎԵՐԵՑՈՒ ԵՎԵՐԵՐԵՑՈԱՆ;
ՏԿՈՎԼԱՌՈ ՕԼԱՐ ԵՎԵՐՆԵՐԵՑՆ,
ՇՈՒԵՐԵԼՈ ԸՎՈՆԻՉ ԵՎԵՐԵՑՈԱՆ.
ՑՄՎԵՐՆԵԼ ՑՄՇԻ-ԿՐՈՎՈ, ԻՆՔԻՆՈՒ,
ԵՎԵՐՆԵԼ (ԵԱԶԱՀԱՆԵԾԱ);
ՑՄՎԵՐՆԵԼ ԿԱՎՈՐՆՈՒ,
(ԻՆԾԱՌԵՑՈՒՆ ԵՎԵՆԵԾԱ).

ՑՄՎԵՐՆԵԼ ԵՎԵՐՆՈ ԵՎԵՐՆՈ
ԸՎՈՆԻՉ ԵՎԵՐՆՈՒ, ԸՎՈՆԻՉ ԵՎԵՐՆՈ;
ՑՄՎԵՐՆԵԼ ԵՎԵՐՆՈ ԵՎԵՐՆՈՒ,
ՑՄՎԵՐՆԵԼ ԵՎԵՐՆՈ ԵՎԵՐՆՈՒ.

ՃԵԼԵՅՑՈ! ԵՎԵՐՆՈ ԿԵՐԱՐ. Տ. Ի. Հ.
ՈԿՄԱՆ ԽԵՂԻՉԵՆ, ԸՎՈՆԻՉ ԵԱԶԱՆ;
ՑՄՇԻ ԿՐՈՎՈ ԵՎԵՐՆՈ ՏԱՎԵՐՆՈ ՏԱՎԵՐ,
ԸՆ ՔՄԻ՞ ՔՄԻ՞ ԵԱԶԱՆ.

ՀԱՅԱՀԱՆ.

ԹԱԼԵ ԹՈԹԵԱԼՇՅԱ

Տացրութանուսու օմո, և ապ գլուխ պայտի
և շուտի զուտարկցեա. Ես ասեց պնդա մոմեցահոյս.

Աս Շեմքըց, և ապ հայր պայտի պայտի
մոռեսուլցա զավելուրց, (օխոլց ՝Շմայս թատրանիս՝
յութ-յութու նոմերո), ծիմուլուս եան մեռլուց պայ-
ոյ Շեյնով-ցամունիյա, պայտարց մոմարտուլցիոն
ցուն առաջմուս յութու և օգուց դարիս.

Ես մյուտեցըլո աղագցին ցոնցեան հայեն պայ-
ոյասպայլո մոմեսուլցուս անհու, (օխոլու օգուց նոմերո
՝Շմայս մատրանիսա”), մուտցուս նայելու օյնցեա, հո-
գուրուս սուժուրուտ զովոնավարմերպայլուր հայեն ծո-
լուս եանցեա ձափյացնուլու և զանցուարցնուլու պա-
րունակութու.

Կյուրեա հայունուս Շեսաեց հայեն զախերգութ:

“Հայունուս Տարարա սանցլմի՛ուու. օյն
Տեցը լունաս նաձուրեցնե. լունաս յունարա
մը լունարա. լունաս մազ նուցաս յունարա
պուրան անլուս. լուց հայունուս նյուրա-
լուրութ ուրաց, մացրամ Շեմունցեան օյն
լունարանուս. պայոնասեյլ Շեմտեցըցան օյն
ան յունա ան մյուրա մյեմուրու մեսարց մոյ-
կացնուր ան պայուն Շեմտեցըցան մոմացալո
նառաւ լացցանաեց պայունուցեւ.”

Ա հայեն մանունցու անհու սապւռացու և
սապւռացնու լուց անունու սոնմունցուու. հայունուս
մարտունու հոյուրա օմու և հոգուրու հայեն զամեռ-
ցուտ, մոյեմերու ոնցլուս-սաբրանցուուս կամուլուսն. տանաեմաւ հայեն ֆոնավարմերպայլուս, հայունուս
լամպարու Շեյուրա ուրանսուլանուն և անու սոյու-
րու. պահան, տա մտյու մալուս այց մուպարունց
հայունուս մտացարու Շեման, մանուն նուրգու ցայտի նշու-
ցեալու, եռուն նուրգու մաս ծուլցարու-ումալցուու
չարու ցմույրեալու. մարտունու տուտուն ծուլցարունուս
տայուսու նուրգու սարաւուսկեն էվոնճա մուշցունու և
մուսալունցունու ոյու սայրութե, մացրամ սարաւուս
նուրգու սածերմեցու ցմույրեալու.

Մունարյ լունաս, հոգուրու մյ ալանունց, լուց
մունարյ. ամուտ ուսարցեցա մույրեմա և լոմերուշան
ոյրունու ֆամուցու. ծիմա պնդա պալուլուս
մունեսուլցու օմուս, հոմ ցը պայ հայեն մա և հայ-
ունցից մյուսուց ցայտի պայուն պայունու. մականչու-

მა აიღო ტურტუკაი, გაარღვია ფრონტი და აიძულა რუმინელთა ჯარი უკან დაეხია. ჩვენ დიდი ხნით წინ გამოვსთქვით ამაზე ჩვენი შეხედულება:

„თუ მტრის ჯარი დობრუჯაში შემოიჭრება, რუმინიელი ან ჩრდილოეთით დაიხვევნ და დუნაის ამოეფარებიან, ან აღმოსავლეთით წავლენ. ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი დაგვანახევებს“.

დაგვანახა კიდევაც. რუმინელებმა დაიხიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და გამაგრდენ გადაღმა ჩერნოვოდ-უსტენჯის რკინის გზისა, დუნაის ნაპირთა ჭაობებში. ზემოაღნიშნული ჩვენი მოსაზრება დაყრდნობილი იყო ამ მოსაზრებაზე: დამარცხებული ჯარი წინ ვერ წავა. მაშასადამე დასავლეთი მხარე უზრუნველყოფილია. სამხრეთით დობრუჯა შავი ზღვა აკრავს და დახევა ამ მხრივაც შეუძლებელია. ამიტომაც ჩვენ აღვინიშნეთ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის შესაძლებლობა.

თუ არ მდინარე დუნაი, რომელიც, არა ერთხელ აღმინიშნავს, დიდი მდინარეა, დობრუჯის აღებით რუმინთა არმიას ზურგი ერთობ გაუშიშვლებოდა. ამ მხრივ დუნაი ერთგვარი საფარი იყო. ამას არც ერთი სამხედრო ავტორიტეტი არ უარყოფს. მიუხედავათ ამისა გენერალმა მაკენზენმა გადალია მდინარე და რუმინის ჯარს ზურგით დაეცა. ამავე დროს გენერალმა ფალკენბაინმა გადმოლახა ბალკანეთის აღპები და მცირე ვალახის ველში ჩამორშვა.

ჩვენს უკანასკნელ მიმოხილვაში ჩვენა ვსწერდით:

„მაკენზენი შეეცდება დუნაი გადალახოს ჩერნოვოდთან. აგრეთვე ფალკენბაინი გადმოლახავს კარპატებს ბუზეოს ველით და გამოვა გალაცია, სადაც მას შეუერთდება გენ. მაკენზენი“. როგორც ხედავთ ჩვენი ნათესავით თითქმის სიტყვა-სიტყვით აღსრულდა. ეს იმიტომ მთხდა ეგრე, რომ დაკვირვებული სამხედრო მიმოხილველისათვის, რაიც სამწერანოთ არც ისე ჩშირი ხილია, უკვე აშეარა ის ტრაფარეტი, რომელთაც გერმანელი ღენერლები მოქმედებენ. ისინი ჯერ წვერებით შემოუვლიან, შემდგ ცენტრს გაარღვევენ და ისე მარადის. არაეთარი შემოქმედებითი „რაზმანი“ მათ არ გააჩინათ და ვიმეორებ სწორეთ ამაშია მათი უბედურება. ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვიცით სათ ტროგორ გამოილაშექრებენ ისინი.

ჯერი ბუქურეშტის მიღვა, იგი პირველხარისხით იმანი ციხეა. აქვს ქვის კედლები და შიგ ფორტები. რუმინის ჯარის წინაშე საკითხი დაისვა: დასტოვოს ციხე, თუ გამაგრდეს შიგ და იბრძოლოს. თუ გახსოვთ ჩვენი აზრი ამის შესახებ სწორეთ ისეთი იყო, როგორაც მოხდა. (იხილე „ეშმაკის მათრახი“) ჩვენ იმასაც კი ვუჩენებდით თუ საით დაიხევდა რუმინის ჯარი:

„თუ ქალაქს (იგულისხმება ბუქურეშტი). მტერი სამი მხრით (ჩრდილოეთ, დასახლეთით და სამხრეთით) გარემოიცას, მაშინ გარნიზონი ირჩევს აღმოსავლეთით უკუ ქცევას. მით უმეტეს, რომ აქეთ მიღის ბუქურეშტ-პლოეშტ-ბუზეოს რკინის გზა. ყოველ შემთხვევაში მომავალი ნათლად დაგვანახებს ყოველივეს“.

მართლაც გენ. იონესკოს ჯარმა იღნიშნული გზით დაიხია და პლოეშტი ბუზეოს რკინის გზის შეა რაიონში კიდევაც შეებრძოლა მოწინაღმდეგეს.

რა მოხდება შემდეგში?

ი საკითხი, რომელიც აღელვებს ჟველა სამხედრო მიმოხილველს და მათ შორის ჩვენც. როგორც ირკვევა საბერძნებით ნიღაბს იხდის. იგი ფარულად ომისათვის ემზადება და ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ ვის მხარეზე დადგება. ჩვენის აზრით ორში ერთი უცილებელია: საბერძნებომა ან შეთანხმების კოალიციას უნდა დაუშეიროს მხარი და მით გერმანია მოიმუროს, ან პირიქით გერმანიას მიემხროს და ოთხთა შეთანხმება მოიმუროს. მომავალი, იმედი გვაქვს, ნათელს მოპფენს ამ ბუნდოვან საკითხს.

აშეარა აქ მხოლოდ ერთი რამ: თუ საბერძნებით ოთხთა კავშირს მიემხრო, მაშინ სარაილის ხელვები გაეხსნაბა, და მიუხედავათ ცუდი ამინდისა, იგი იერიშით მივა ბულგარიაზე. ხოლო თუ საბერძნებომა გერმანიას მისცა შხარი, მაშინ გენ. სარაილის ზურგი გაშიშვლდება და დიდ საფრთხეში ჩავარდება. „აღდგომა და ხელაო“ ამბობს ქართული ანდაზა. მომავალი ყოველივე საექვოს ფარდას ახდის და ნათელზე გამოიტანს.

თუ გ. სარაილი გაარღვევს მაკელონის ფრონტს და შეუერთდება რუმინის ჯარს, მაშინ დობრუჯის ლაშეარი მახეში მოემწყვდევა და იარაღ დაჭყრის. ეს იძულებს საბერძნებს მოკავშირეთა მოთხოვნი-



ბრძოლის ღმერთი დაიქანცა
ომისაგან დანაფლეთი...
ბრძოლის კოშკში დაინახა
შუვიდობის და ზაფის ღმერთი.
ხმა არ შესწევს...
თითოო იწვევს...
ზაფის ღმერთი ღალატს ხედავს
და შუვიდობის მონატრული
ძირს ჩამოსვლის ვერა ბედავს.

სახელმწიფო საბჭომ და სათ თბირობ თითქ-
მის ერთგვარი რეზოლუციები მიიღეს სა-
მინისტროთა რეფორმის შესახებ.



მინისტრი. განა შეიძლებოდა წარმოდგენა, რომ ეს უთანასწორო წყვილი ასე-
თი თანხმობით გასწევდენ მეუღლეობას?

ლება დააკმაყოფილოს და მართველობა ვენიზელოსს გადასცეს. ამავე მიზნის მიღწევა შეიძლება, თუ კი რუმინის არმია ბუზეოს მიღამოებში დაწყებულ იერიშებს განაცითარებს, გერმანელთა ბრძოლის პირს გაარღვევს ბულგარიაში შეიქრება და ზურგიდან მოწოდილ სარაილის ჯარს შეუერთდება. ჩვენ არა ვფარავთ, რომ ეს ძნელი, საალაბდელო (სარისკო) მანევრია, მაგრამ ურისკოთ გამარჯვება ძნელი საქმეა.

როგორც ამ მოლოდნოს გამოირკვა და ჩვენთვის ეგ წინეთაც აშეარა იყო, რუმინის ჯარის უკან დახვევაში (არ ვიტყვით დამარცხებას) უმთავრესი დანაშაული ასკვიტს მიუძღვის. ჩვენის აზრით იმარჯვებს იგი, ვისაც მეტი ჯარი, უკეთესი ჯარი, და უკეთესი ტეხნიკა აქვს. ლოიდ ჯორჯი თითქმის ჩვენი აზრისა იყო, როცა არწმუნებდა ინგლისის მთავრობას: გავგზანოთ რუმინიაში ძლიერი არმია და მტერსაც დაემარცხებთ. მაგრამ ასკვიტი ფრთხილი კაცი გამოდგა და ძლიერი არმია რუმინის დასახმარებლათ არ გამოგზავნა. როგორც ხედავთ, ჩვენი თქმისა არ იყოს, განვლილი ოპერაციის მსვლელობა რუმინის ასპარეზზე შექმნებით იყო ასეთი და არა ისეთი.

„ომის ჯაჭვი იქ გაწყდება,
სადაც დაჰკრაის მისი ბედი
ასპარეზი სულ ერთია
აღმოსავლეთ—დასავლეთი“.-ო.

ჯერ კიდევ შარშან წინა სიტვა ჩვენმა სახელმოვანმა სტრატელმა „ნომილოს ეძილებელუშ“-მა. და მართლაც რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ თეატრს, ან ფრონტს? ფრონტი შეიძლება დღეს აქ იყოს, ხეალ იქ, საქმე ცოცხალი ძალაა. თუ აღნიშნულ თეატრში ბევრ ჯარს მოუყრი თავს, თუ მას კარგათ შეაიარაღებ და კარგ გზებსა და ხელმძღვანელებს მისცემ, მტერი დამარცხდება, ფრონტი გაირღვევა.

დღეს გარემოება გამოიცვალა. ინგლისში ასკვიტი დაეცა და ლოიდ ჯორჯი ჩაუდგა მხედრობას სათავეში. საფრანგეთმაც სამინისტროს რეორგანიზაცია მოახდინა, ხოლო ამასთან ერთად შესძლებელია რესეტშიაც გამოიცვალოს მინისტრი. ამიტომ უნდა ველოდეთ, რომ საბერძნეთში ინგლისი გადმოსხამს დიდიძალ ჯარს და ხელში ჩაიგდებს სახელმწიფოს; ამით განთავისუფლდება სარაილის ზურგი. სარაილი დაეცემა ბულგარიას და ამით გა-

ანთავისუფლებს რუმინის ზურგს. რუმინელები მაშინ ზურგით ეკვეთებიან გერმანი-ბულგარელებს და უკუაქცევენ. ყოველ შემთხვევაში ეს მომავლის საქმეა და სწორეთ რომ ეს მომავალი აშეარათ დაგვანახებს რა მსვლელობას მიიღებს საქმის ვითარება.

მართალია, ახლა ინგლისიდან რუმინეთში დიდალი ჯარის მაყვანა მიმდე საქმეა და შეიძლება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიით, მაგრამ იბადება საკითხი: რუსეთი ინგლისის მოკავშირეა, ორივე ერთად რუმინის. გამ უმჯობესი არ არის დიდძალი არმია რუსეთმა გავზარნოს რუმინიაში? ამ ორიენტაციის მომხრეა ინგლისის ყოფილი პრემიერი ასკვიტი და წინააღმდეგი ჩვენის აზრით არც ბონარლოუ იქნება. ამასაც მომავალი დაგვანახებს.

ჩვენი წერილი დამთავრებული იქნებოდა, რომ ერთი საკითხი არ ველობებოდეს წინ. სახელდობრ: რა იქნება, რომ გენ. ფალკენბაინის ჯარმა გადალახოს ფოკშანის ველი, გაიჭრას მოლდავიაში დაებჯინოს მდინარე სერეტს? ცხადია მაშინ ბუზერა სთან დაბანკებულ რუმინის ჯარს საფრთხე ორის მხრიდან დაატყება: პირველ ყოვლისა ჩრდილოეთით ფალკენბაინი, დასავლეთით დელმელზინგნი, ხოლო სამხრეთით მაკენზენი. აი ის რკინის რკალი რომელშიაც მოქმედება რუმინელთა არმია და ჩვენის აზრით მაშინაც ერთად ერთი გზა დარჩება მას, სახელდობრ,—აღმოსავლეთი. სხვა ავტორიტეტები ამ შესაძლებლობას უარს ყოფენ. მათი აზრით ბრძოლის ბედი ბუზერის ველზე გადასწყდება. ვნახოთ. მომავალი ყველაფერს ნათლათ დაგვანახებს.

მოდილი.

პირდაპირ სასაცილო ამბავი.

ზოგიერთი აშშავი, მე თუ მეითხავთ, სასაცილოა, ასე თუ ისე სასაცილოა, უკეთ ვსთქვათ ქეც არის და არც არის სასაცილო. ასეთ კატეგორიას ეკუთხის მაგალითად ბ-ნი ქართლელის ღია წერილი ი. გელევანიშვილისადმი, რომელშიაც ბ-ნი აღწერუნავს აღრესს ეკითხბოლა; აგრეთვე მხოლოდ სასაცილო იყო ბ-ნი გელევანიშვილის პასუხიც.

მაგრამ ამბავი გრიგოლ ჩარკვიანისა, მიხეილ განკუანდას და გრიგოლ სე. ჩარკვიანისა პირდაპირ სასაცილო ამბავია.

თუ კიდევ შერცხვენა სჭირია, შევარცხვინე მე ის კაცი, რომელიც იტყვის: ქართველ კაცს აღება მიცემობის ნიჭი არა აქვს და საჭმის მოქახარება არ შეუძლიათ. პირიქით, იმას რასაც ქართველი (უფრო კი ზესტატონელი) კაცი მოიგონებს, იმას ასი წელიწადი რო იჯდეს და იფექტოს სხვა, გარეშე ქართველისა, ვერავინ მოიგონებს.

აი თუ ეს ეგრე არ არის დავუჩოთ ყური.

„გრიგოლ ჩარკვიანი“ ადამის დროიდან ცნობილია, ბოგორიც ივტორი ქართულ (კედლის და ჯიბის) კალენდრებისა. მისი სახელი ისე შეთვისე ბული აქვს ამ საჭმელს, რომ როცა კალენდარს და ინახავ უნებლივთ გრიგოლ ჩარკვიანი გაგახსენდება, ისე მ. გალითად, როცა „მელპონიენას ტაძარს“ დაინახავ იოსებ იმედაშვილი მოგავონდება, ან სამღლოვიარო პროცესის დანახვაზე ა. ი. ხატისოვი.

ეს არც თუ გასაკვირია. კაცი ვგონებ ორი სამი საუკუნეა ამ საჭმელს მუშაობს, მართალია გას აღნიშნული დარგი დიდათ არ განუვითარებია, მაგრამ მისი სახელი მაინც მეიღროთ შეეხორცა ქართულ კალენდარს და წიგნის ბაზარზე ერთგვარი ღირებულება აქვს.

მიხეილ გაჩეჩილაძე (ნეტავ ის ვიცოდე გვარებს ვინ იგონებდა იმ შორეულ წარსულში?) „თალგამისა და თაფლის“ არ იყოს, მაშინ არის კარგი ივტორი, როცა მის გვერდით „გრიგოლ ჩარკვიანის“ სახელიც აწერია. თუ გახსოვთ ბ-ნმა თალგამმა ერთობ ურცვეთ წაიტრაბახა: — მე და თაფლი ერთად ძლიერ გემრიელი ვართო მაგ იმა როცა თაფლმა ამხილა: — ჩემო კეთილო, შენ შენი გემო იყითხე, თორემ მე უშენდაც გემოს ვერავინ დამიწუნებსო, მაშინ თალგამი დარცხვა და გაისუმდა. (რომ არ გაჩუქრებულიყო და ეთქვა რამე „დედა-ენაში“ უთუოდ იქნებოდა ჩაწერილი.)

ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე ისე ასაღებდა თავისს „შემოქმედებით“ ნიჭს გრ. გოლ ჩარკვიანის გვერდით. ერთხელ თურმე გრიგოლ ჩარკვიანმა უარი უთხრა მიხეილ გაჩეჩილაძეს ამ შეზობლობაზე და საბრალო თალგამიშეუხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

და ი, სწორეთ აქ იჩინა იმის ნიჭმა თავი, ვინაიდან ღმერთი არავის არა სჩიგრავს და თავისს შე აუერ ნიჭს ცველს აძლევს. მართალია მიხეილ გაჩეჩილაძეს კალენდრის შედგენის ნიჭი არასაკადრისი მის-

ცა, მაგრამ სამაგიეროთ ვაჭრობის მოქახრაკების საქმეში გენიოსნობა უბოძა.

რა არის გრიგოლ ჩარკვიანი?

გრიგოლ ჩარკვიანი არის სახელი და გვარი. და თუ ეს ეგრეა, მაშ შეიძლება სხვაც იყოს ქვეყანაზე „გრიგოლ ჩარკვიანი“. დამეტემუტებით, რომ ყველა გოგრაში არ დაიბადება ასეთი უცნაური აზრი და მე გადაჭრით ვამბობ, რომ თვით ნამ ვეილი „გრიგოლ ჩარკვიანი“ ამას უერ მოითქმულებდა.

მიხეილ გაჩეჩილაძემ ქალაქ ქუთაისს მიაშერა და იქ იპოვა ის რასაც ეძებდა. კარგათ არ ვიცი რომელს ქუჩაზე, მაგრამ მაინც იპოვა „გრიგოლი“ და ისიც „ჩარკვიანი“. მართალია იღნიშნულ გრიგოლს კალენდრის შედგენა სიზმარათაც არ მოსჩვენებია, მაგრამ კალენდარი უკვე შედგენილია მიხეილ გაჩეჩილაძის მიერ, საჭიროა მხოლოდ ორი სიტყვა: „გრიგოლ ჩარკვიანი“. აი ეს სიტყვებიც ცოკლად ჩამოიყანა ქუთაისიდან და საჭმე გაიჩარხა.

გამოვიდა კალენდარი, რომელსაც აწერია: „შედგენილი გრიგოლ სვ. ჩარკვიანის მიერო მოღიახლა და უმტკიცე მყიდველს, რომ ეს „გრიგოლ ჩარკვიანი“ სხვა გრიგოლია, რომ მისი შენაწილეობა მხოლოდ სახელისა და გვარის მოწერით განისაზღვრება, მეტით არაფრით.


ნამდგილი „გრიგოლ ჩარკვიანი“ წერილს წერილზე სწერს, ხან ამას, ხან იმას ეყითხება, მაგრამ უკაცრავათ! დიახ, უკაცრავათ! დიდებული ნიჭის წინაშე უძლურია მისი კალენდარული აფტორიტეტი.

ქართველი საზოგადოება?... ეჭ, აბა რა საკადრისია ამ საგანზე ლაპარაკი. საზოგადოების საღასტელა იმისათვის, თუ ქართულ კალენდრის ფრონტზე ასეთი შემაძრუშეუნებელი ამბავი ხდება.

სწორეთ ამით საჩვენებლობს ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძეც.

ნუ თუ ახლაც იტყვის უინმე, რომ ეს პირდაპირ სასაცალო ამბავი არ არის?

კოლო.



სიგლერა ქამელიონისა

ვიცი, წუთი სოფელი
წარმავალი, ფუჭია.
მეც მიზნათ დაიისახე:
გამოვიძღო კუჭია.
ტკბილათ ვმღერი, ვლილინებ
ბედის მაღლიერია,
მე იმას არ დავეძებ,
თუ ვინმე მშიერია.
დე, ამოწყდეს სოფელი,
მე ის რა მენაღლება!
თუ კი ამით მე ჩემი
კუჭი გამომიძღება.
მოტირალთან მეც ვტირი
წუთი სოფლის გმობითა,
გასაჭირს ვიზიარებ,
მხოლოდ გარეგნობითა.
ძმობა, ამხანაგობა,
ენაზე მაკერია,
გარეშეს ეგონება
ვითომც მიყვარს ერია.
ვიცი, წუთი სოფელი
წარმავალი, ფუჭია.
მეც მიზნათ დაიისახე:
გამოვიძღო კუჭია.

თთარი.

მასტევის უძლი

(პალახანისათვის)

ცხრაშეტ კაპეიჭედ ზევით
არ ღირს წასვლა ერთი კაცის...
ამ გვარად დაადასტურეს
ბარგი რომ აუკრეს კასირს.
სთქვეს და მისცეს იგი საქმე
კონდუქტორებს კაბინებს,
რომელნიც „სდაჩის“ მიცემას
თუ არ სთხოვე, აგვინებს:
მამრის სქესის სხვაგან წასვლით,
დადგა მდედრი კონდუქტორათ

და ბილეთის გაყიდვაში
ვერ იქცევა ყველა სწორათ.
ბალახანიდან ბაქომდე
რაღაც თორმეტი ვერსია
და „სდაჩათ“ კაპიკის თხოვნა
რა ზრდილობა და წესია?
ყველას მიაქვსო არ ითქმის,
ბილეთში ერთი აბაზი
წინჯთაც იყვნენ მართალნი
ეხლაც ბევრია ლამაზი*)
თვალ მარგალიტი და ოქრო
საქმიოდ არის სათქმელი...
მაგრამ ქარი რომ არ ისმის
რისთვის დამიჭრეს სანთელი?
აქ სიტყვას ძალას ვერ ვატან
საქმეა სახიფათოო
ყველა გმირს: ქალსაც და კაცსაც
აზრი აქვს ერთობ ფართოო.
დია.

პროვინციის მოღვაწენი

გიორგი ფარენაოზის ქა ზიმზივაძე.

20 ნოემბერს, დღითი კვირას, მათხოვების სამ-
რევლო სკოლამ იღლესასწაულა 20 წლის იუბილე
ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გი-
ორგი ფარნაოზის ძე წივწივაძისა, ანუ როგორც
მეტ სახელად უწოდებენ „გიორგი ყარყუმ-მათხოვ-
ხანისა...“.

ყოველკვირეულ ჟურნალში ძნელია საცხებით
იმ ღვაწლის აღნუსხვა, რაიც საზოგადოების წინაშე
მიუძღვის ჩევნს დაუკიტყარ გიორგი ყარყუმ-მათხოვ-
ხანის. იგი სწორეთ ისეთი ტიპია, რომლის შესახებაც
ჩვენმა სახელოვანმა აღმზრდელმა სოლომონ ზურ-
გიელიძემა სთქვა:

„უჩიტელი იმას ჰქვია
ვისაც უყვარს ჯობ-წკეპელა...
ბაღანას თუ მიეფერე
კარგი რამე კი გამუა“.

*) შართალნი და ფამაზი. ე. ი. რომელინიც სდაჩის
იძლევან.

გიორგი ყარყუმ-მათხოვჯ-ხანი სოლომონის პრინ-
ციქებზე აღზრდილი და მის სკოლაში ვერ ნახავთ
მოწაფეს თავზე ბალანი ჰქონდეს ხელის მოსაკიდი.
ყური აუკილებელი ორგანოა მოწაფეთათვის, თვით
სოლომონმა სთქვა:

„ღმერთმა ყური რომ მოგვაბა
აშკარაა მისი ვალი:
გავიგონებთ წირვა-ლოცვას,
ცხვირით ვყინვავთ, თვალით ვხელავთ“.

და მოწაფეთა ყურის განვითარებასაც დიდია
და დაუდგრომელ ყურადღებას აქცევს პატივუმული
იუბილიარი. ყოველი ორგანოს ჯეროვანი განვითა-
რება უპირველეს ყოვლისა ვარჯიშობაზეა დამოკი-
დებული და აი გიორგი ყარყუმ-მათხოვჯ-ხანი ხში-
რად უწვართავს თავის მოწაფებს ამა თუ იმ ყურს,
რომელიც უწინარეს მოხვდება ხელში და ამთ ხელს
უწყობს მათ (ყურების) ზრდა-განვითარებას.

ზოგ-ზოგი დარგი მისი მოღვაწეობისა სხვა უურ-
ნალ-გაზეთებშაიც იყო მოთავსებული. ერთი მათგა-
ნის რედაქტორი, ალ. ცერცეაძისა, სამართალშიაც
მისცა მოღვაწეობის გაზიადებისათვის, ეგზომ მორ-
ცხვია იგი ქებისა წილ. სასამართლომ, რამდენათაც
ვიცით არ შეიწყნარა მისი მორცხობა.

20 ნოემბრის ღლესასწაულს მრავალი ხალხი
და წარჩინებული საზოგადოება დასწრო. არა ერთი
და ორი ღირსეული სიტყვა წირმოითქვა.

საუცხოვ და მატად მოხვდენილი სიტყვა წარ-
მოსთქვა „ხონი“-ს წვრილი კრედიტის გამგეობის
სახელით—მასიკო ქელიძემ; ინსტრუქტორის სახე-
ლით—კოწია კაკაბაძემ; პირველ უმაღლესს დაწყე-
ბითი სასწ. მასწავლებელის სახელით—ანდრო ბახ-
ტაძემ; სამრევლო სკოლის მასწავლებელთა სახე-
ლით—ალექსანდრე მაჭარაძემ; ხონის და მათხოვის
მეეტლეთა სახელით—ათანასე ბარბაქაძემ; ეროვნუ-
ლი მუზეის სახელით—აკაკი მებჭვაძემ; ხონის სავაზო
გიმნაზიის ეროვნულ მოღვაწეთა სახელით—ვადაჭ-
კორიამ; ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. „ბორჩალო“-ს მაზ-
რის სახლხო მასწავლებელთა სახელით—ლავრენტი
ძიძიგურმა („განათლების“ რეალისანია) მანვე მიუძღვნა
იუბილიარს შესანიშნავი ლექსი „თაგული“ რომელ
მაც დაუსრულებელი ტაშის ცემა გამოიწვია...

აი ის ლექსიც:

„თაგული“.

ქოცის სპირტი მოგაბარე,
მასიკოს—შაბიამანი,

სპირტების ვედრა —ვასოსა
მოსკოვში გადასატანი;

რომ არ წაგმწარდეს... და გახდე
მით მონაწიე სუფრისა;
„გორდაძე“-ს ხონელ „სამება“-ს
ჭორიკანბა, ძეირები,
ანდრიას-კი „ჯანგელდელობა“
და ნიკოს შავი ვირები;
ფულების გადასაქმება
„ვარლამ ძიძიგურს“ ცბიერსა,—
„მეგობრის“ ყვითელ პრესაში
არ ახალგაზრდას,—ხნიერსა;
და... პა, მოგიძლვენ, მიირთვი...
შაირათ ჩანამურები;
თუ რომ გემწაროს, არ შეკრთე!..
არ ჩამოჰყარო ყურები!..

ი. გოლობოთოლი.

„ოჯახური საღამ“

სუენა I მოქმედებათ
(დასტურული*)

იგინივე და აფთანდილი

ავთანდილი. (ქართველის და რა შექსედავს სცე-
ნეს თითონაც ეცინება) Что съ Вами, господа,
что за хохотъ?! ძალаუნებურად მეც მიხდება
სიცილი. (აცინის)

ჯველანი. (მხიარულად) ავთანდილს ვახლა-
ვართ, ავთანდილს, (აგანძილი დიდის მოწიწებით ჩა-
მოუვლის უველავს, ჯერ ქალებს ჩამოართმებს ხელს და
მერე კაცებს).

განიჩეა. Ну, удивительный же экземпляръ,
Автандилъ Иордановичъ, Вашъ Кириль!

გახმ. არა, რაც მოადგება პირზედ როშეს
დანგრეული წისქვილივით!

კოჭია. არა, არა ეგ რომ არა გვყავდეს ჩვენი ლიტინი გროშად არ ეცირება.

სოლომონი. (დარბასილურად) ბატონებო, უწინ ყველა შეძლებულ თავადიშვილს თითო მასხარა ჰყავდა სასახლეში და ჩვენ ამდენ ხალხს რომ ერთი გვყავდეს რა გასაკვირალია. მაგას ჩვენგან ბოძებული კონტიტუცია აქვს და ეგეც შესაფერისად ხმარობს. (კირილეს) მხოლოდ ცოტა ქალებთან ხელის ფათური გიყვარს, კირილე, და ეცადე, რომ ნაღმს არ წააწყდე, თორემ აფეთქდები. (ჟველანი იცნიან).

კარილე, მაშ რა ვქნათ, ბატონო სოლომონ, მაშ რითი მოვკლათ ამდენი დრო! ან კარტი უნდა ვითამაშოთ, ან ვიქეიფოთ და ღვინო ვსვათ, ან და კიდევ ვიხუმროთ. აბა ერთი თქვენ მიბანეთ სხვა რა არის ამ ქვეყნად საინტერესო, თუ არ ქვიფი და ხუმრობა?

სოლომონი. შენ იყი, ჩემო კირილე. მე მხოლოდ იმისი მეშინიან, რომ მსუნავი კატასავით შეაფში არავინ გამოგამწყვდიოს.

დარეჯანი. დაანგეთ თავი, ბატონო სოლომონ, მაგ გადარეულს. ამაო მელის თავზე სახარების კითხვა. (ჟველა სტუმრებს) გთხოვთ გაბანდეთ, ბატონებო, მეორე თახაში და იქ მოილხინოთ. ნება მიბოძეთ მე აქ ვახშამი გაგიმზადოთ.

კვლეული. დიდი სიამოვნებით, ეს უდივისტები. (ჟველანი გადან). დარეჯანი სტუმრებს მიუძღვის ჭინ და გაჭერას შეორე თახაში. ვასილა და აღათა სუფრასა ჭშლანი.

გასილა. (ადათიას) იმე, რავა დაგიუჩენია, ბოშო, ხარხა! მომაწოდე მაგ საინები. პატარა ხელი გაანძრიე, თვარა გათენდა ესაა.

აღათია. (მორცხვად) კი, ჩემო ძამია. რაც შემიძლია მოგეხმარები.

გ ხილა ზო და ასტე ქენი. შენ შეგიძლიან რაცხა შესაძლებია, აპა ვის! აგი ძამიას ქე დაანგებე თავი. ძალიან საჭიროა ხლო რომე შენც ჩემი დაიგ იყვე. ნახევარი დუშინი ქე მყავს სახლში ჩაპრეზული და იგიც მყურფა, იგენის ჯავრმა გადასაშელობა ხელზე ტყავი, თვარე მე სხვისას რა მინდა მოსამსახურეთ!

აღათია. (მოკრძალებით) უი, ბერა, ვასილა რავა გვიკადრება!

გ ხილა. ნუ იპუწქები გლახათ. რა მეკადრება,

ბოშო, რა!

აღათია. რა და გლახა ლაპარაკი-გასილა. რავა, მანდამაინც, დაძმობა გინდა შემოფეიცო? შენ, ჩემო აღათია, სხვაფერაც დაგემოყრება კაცი.

აღათია. რავა სხეაფერ?

გასილა. რავა და გაგიკეთებ პორუქეს და ქეწაგაცუნცულებ სახლში.

აღათია. აკი და აღარ მინდაო!

გა'ილა. რას ბრახუნობ, ბოშო, დაი კი არა ცოლათ წაგიყვნ, ცოლათ.

აღათია. (შეგროვა) დედაია, ჩემი სიკელილი!

გასილა. ხო, ძალიან შებზრიალდი თვარა დამიწურებ..

დარეჯანი. (ფასილას) აბა, ვასილა, ჩერა, დატრიალდი, ი მეც მოგეხმარები.

გასილა. ბატონო, დარეჯანი რაც შევიძლია და მანდამაინც ხალხივთ ვერ ვიბრუნებ.

დარეჯანი. (სტადს აწეობს). აბა, ვასილა, ლეინოები შემოიტანე ჩერა! (ადათიას) შენ კუხნაში დაჯევ და უყურე ის გოჭ-ინდაური არ დაიწევას, თორემ ცოცხალი ვერ მომრჩები. (ფასილა და აღათია გადაან).

კირილე. (ქემოდის და დარეჯანის საარშიედ შესრუედ ჟელს დაჭერას) ყოჩალ დარეჯან მე და ჩემმა ღმერთმა ი შენისთანა ცოლი უნდა ინატროს კაცმა. (ხელს შორის შორის გეგენის).

დარეჯანი. (შეუღლეს) რას სჩაღი, შე სულელო, აეთანდილმა არ დაგვინახოს.

კირილე. დაგვინახოს შერე რა? მე ამ შემთხვევაში კომუნისტი ვარ, ჩემო დარეჯან. შენი ყველაფერი ჩემია და ჩემი კი შენი. (ირანის) ხა, ხა, ხა, ხა! დიდებული ნათქვამია. შენი ყველაფერი ჩემია. რასაკვირველია რომ ჩემია. (ჰერცინის)

დარეჯანი. (ხელიან გაუსტლერებს) კირილე, სირცხვილია არავინ დაგვინახოს.

გასილა. (გამოდის და სხექროთ აწეობს დავინაების სტრუტებს კირილეზე ეჭის აიღებს და ჩაილაპარაბებს) ეს კირილე ნამდვილათ მარცხს იზამს, ისტე ეჭებება ამ ჩემ ქალბატონს!

დარეჯანი. დააწყე, ვასილა ბოთლები და ყური შარჯვეთ გქონდეს. რომ დაგიძახო, არ დაიგვიანო.

გასილა. კი ბატონო! (ჩაილაპარაკებს და გადის)

უური შენ გქონდეს მარჯვეთ, რომ ბატონშია არ შემოგისწროს, თვარია მე მარჯვეთ ვარ. (გადას).

კირილე. დარო, შენ გენაცვლე ცელს წიას ტანის დარეჭანის, დარეჭანი გაუსტოდება. ამ დროს შემთხვევის აფთანდილი. აფთანდილი აშ სურათს თვალს მოჰქონდეს, მაგრამ კრიგად ვერ გაარჩეუს, ძაღლიან კი დაქმედება.)

აფთანდილი. (დარეჭანის) რით ვერ გააწყვე აქამდის სტოლი!

დარეჭანი. (თავშადუნელი დარცხვენით) აი, უკვე მზათ არის, ეხლა სტუმრებს დაუძინებ და მოვილხინოთ. (გადას).

კირილე. (უნდა უხერხედ მდგრმარეთბიდან გამოვიდეს) დიახ, დიახ, დაუძახოთ. (მიდის დაბნეულათ).

დარეჭანი. მობრძანდით, ბატონებო, სტოლი გაშლილია. (შემთდიან სტუმრები დიდის პატიჟის და თავაზის შემდეგ დასხდებან. დარეჭანი არა ჯდება).

ყველანი. (დარეჭანის) არ შეიძლება, დაბრძანდით, პროცეს! (დარეჭანი ჯდება. კირილე იძეგნის ასეზების, რომ დარეჭანს გშემდგრძი მოუკვდება. აფთანდილს ქს სურათი არ მოსწონს, მაგრამ სტუმრებთან თავს იჭვებს).

განიჩა. აბა, ბატონებო, ტოლუმბაში ავირჩიოთ.

ყველანი (ყვირან) სოლომონ პეტროვიჩ, სოლომონ პეტროვიჩ!

სოლომონი. ვემორჩილები, ბატონებო, თქვენს სურვილს და ვკისრულობ იმ ფრიად საძნელო საქმეს. აბა, ბატონებო, აიღეთ ჭიქები. (აიღებს ჭიქებს) ბატონებო! ქვეყნად არსებობს ერთი ჯურის ნაზი და მომზიბლელი ფრინველი, ეგრეთ წოდებული ყვავ... თუუ, დასწყევლოს ღმერთმა, ყვავი კი არა, ბატონებო, ბულბული. დიდია მისი თვალწარმტაცი სილამაზე, მისი ეშვილი და დამათრობელი ხმა, რომელსაც მსმენელი შორს, შორს, სადღაც ორთქლის სამეფოში მიჰყავს. დიახ ასეთია დღევანდელი ჩვენი დიასხლისი სილამაზის და სიმღრის მხრავ. ბატონებო, ამ საუცხოვო ადამიანს თან ახლავს კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება. მოგეხსენებათ, ბატონებო, გააჩჩლებული და წიწილებისათვის თვედადებული კრუხი. დიახ კრუხი, ქათმის კრუხი, რომელიც განუსაზღვრელი სიყვარულით თავს ევლება და ზრუნავს თვის წიწილებისათვის. ის არ ჰზოგავს თვის საკუთარ სიცოცხლესაც კი, ოდონდ

მისმა წიწილებმა ისიამოვნოს და იკეთილდებოს. ის დღის გააფთრებით ეკვეთება სამტრით მოსულ ქორის, ან მიმინოს და სამკედლო სასიცოცხლო ოში ებმება, რათა უზრუნველ პუნი თავისი წიწილები. აი, სწორედ ასეთ კრუხს მომაგონებს ჩვენი დღევანდელი დიასხლისი ქალბატონი დარეჯანი, რომელიც დის ზრუნვას და პატივისცემას იჩნეს ჩვენდმი. მაშ გაუმარჯოს ლამაზ ბულბულს და გააფთრებულ კრუხს, რომელიცა რომა... ეს იგი ჩვენ ხაზიკა დარეჯანს. აბა, ბატონებო, მრავალ ჟამიერ.

ყველანი. ურაა, ურაა, გაუმარჯოს, გაუმარჯოს (ეველანი სუაშენ სადღეპერების და შემდეგ მდერიან).

დარეჭანი. იშვია ბლაგადარ გოსподინ თოლუაშ.

სოლომონი. აბა, ბატონებო, თოთო ჭიქაც. ამ მეორე სამისით მე მსურს ვადლებრძელო ის გრძელ ყანწებიანი და ოქროს ბიბილოიანი მამალი, რომელიც ლირსეულად იცავს თავის მეულლე კრუხს უოველივე მტაცებელი ფრინველების თავდასხმისაგან. გაუმარჯოს კრუხთან ერთად იმ გრძელ კუდიან მამალსაც და ვთხოვ სამას სამოცდა სამ ჭიქნად გიორგის, რომ მრავალ წელს ეცოცხლოთ ბედნიერათ. გაუმარჯოს, ბატონებო, დარეჯანთან ერთად ჩვენს უხვ მასპინძელ ბ. ივთანდილ იორდანის!

ყველანი. ურაა, ურაა, გაუმარჯოს, გაუმარჯოს! (ჭიქებს სცლიან დიდი სმაურობას და სიცილი. დიდების მდერიან).

აფთანდილი. ბატონი ტოლუმშაში, მადლობას მოგახსენებთ სალეგრძელოსათვის, მაგრამ ეს კრუხ მამალთან შედარება ვერაფერი ანალოგია, თქვენმა მზე!

კირილე. კარგია, კარგი. ნეტა მე ვიყო ის მამალი, რომ გემოზე, ჩამოუქროლო ხოლმე დარია ჭიხოსროვნას.

აფთანდილი. (სიბრაზისაგნ გაუთლდება) დრო ავს ზვიკს დერჯათ ვა ვუბამ!

ყველანი. (აფთანდილს) ჩიხე, ჩიხე, ავთა, იყელოს მაგის ლაპარაკს რა უურს უგლებ, ხომ უკი ხუმრობს.

აფთანდილი. ხუმრობა მეც ვიცი, მაგრამ ასეთი უზრუნველი კი არა!

ყველანი. Ничего, Автиюша, шутить, шутить!

სოლომონი. (იღებს ქანწეს) აბა, ბატონებო, ერთი მომისმინეთ. (ამ დროს შემოდის ქასილა, და შემთაქეს დექაშა, რომელსაც გადასცემს სოლომონი. სოლომონი ას წაიკითხავს დექაშას აღტაცებით და სისარულით წამოჰარდება ზეზე). მოგილოცავთ, ბატონებო, მოგილოცავთ გუბერნატორს დაუმტკიცებია ჩვენ მიერ წარდგენილი კლუბის წესდება!

ყველანი. ურაა, ურაა! გაუმარჯოს გუბერნატორს!

სოლომონი. (სისარულით აღტაცებული) ბატონებო ეხლა კი შეგვიძლიან კლუბის საშუალებით თავისუფლათ შევიკიბოთ და სიამოვნებაში დავლიოთ ჩვენი მოკლე დღენი. მოგეხსენებათ თუ რა ძნელია, ბატონებო, უსაჭმობა. თუ რა სატანჯველს განვიცდილით, მით რომ არ მოგვცოვებოდა არავითარი გასართობი, რომ ეს უზომო დრო მოგვეპლა რითიშე. ეხლა კი, ბატონებო, შეგვიძლიან სულ მხიარულებაში გავატაროთ დრო. ბაქარა, ფრაპი, ვინტი, პრეფერანსი, ნარლი, ბილიარდი, ცეკვა, სიმღერა... ღმერთო ჩემო, რა ბეღნიერებაა, ურაა!

ყველანი. ურაა, ურაა! გაუმარჯოს გუბერნატორს, გაუმარჯოს კლუბს!

სოლომონი. აბა, ბატონებო, გაიცეთ ჭიქები. მაშ ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას, ჩვენს შეაგენებას, ჩვენს უცყარას, ჩვენს შეკორწიებას, ჩვენს შეკავშირებას, ჩვენს წრეს ჩვენს მოხაზულობას, ჩვენს მოფარგლულობას, ჩვენს ლხინს, ჩვენს ქვიფას... ჩვენს ყველაფერს... ჩვენს... ჩვენს... ალავერდი შენთან კირილე.

ყველანი. ურაა, ურაა! გაუმარჯოს ჩვენს ყველაფერს!

კირილე. იახშიოლ! (სკამს. უველანი რიგ-რიგთ სკამენ, მღერას და იცინას).

სოლომონი. დარია ქიოხოსროვნა! აბა ჩქარა გიტარა და ლეკური გავაჩალოთ. (დარეჭანი მთარ ბენიებს გიტარას და გადასცემს ნინოს. ნინო უკრავს გიტარას. კარილე ძალიან შექურებული და დაინიოთ წამოგადღება და ჩამოვლის. კამთახისგან საცეკვავოთ დარეჭანის და რა გაათავებს თამაშობაში გუფრო ეპაზება. ღვიძლ და რა გაათავებს თამაშებს თავდა-

ვანების მისული დარეჭანის საკორნელად ხელს შეკენებეს). გაუმარჯოს შენს მოხაზულობას!

ყველანი. ე, ე, რუკას ვолი და დავაი აფთანდილი. (წამოგარდება, დაავლებს ბოთლას ხელს და ესერის კირილეს. რადგან ბოთლი ასცდება გონილაზე ხელ-დახელ მიგარდება კირილეს. შეელანი წამოცვადებას, აფთანდილი უვირის) მერვავეც, ნე- გოდა!

კალები. (უვირიან) გვიშველეთ, გვიშველეთ! სოლომონი. ბატონებო, ეს რა საკადრისია!

კირილე (იწეს) გამიშვით, გამიშვით! (საქართველო არევ დარეჭანა. სტუმრების გოგო-ბიგები, რომელუბიც სტურჯულობში უცდიდენ ბატონებს, ისინიც გამოცვიან. ესინდას პრელის ჩოხი შემთაქეს).

გასილა. (შემოგარდება და დარტექას კირილეს ჩოხქეს) აგრც შენ, შე უპურმარილო, შენა არა, რომ დაფარფატებ მამალი ინდურივით ამ ქალებს, რაცა კურო მოზერობა ხომ არა გვინია შენ!

კირილე. (იწეს გასილაზე) გამიშვით, გამიშვით! სულ ლუკმა-ლუკმა ვაცუვი მაგ ნაღირს მაგას! გახილა. (იწეს) რას მიზამ, შე გლიახის ჭირო, შენა. არ წამეიწიო, თვარა გაგთხრებ შვაზე შე ჩიყვიანო შენა! (საქართველო და გადა ხმაურობა).

ფ ა რ დ ა

მიმღება ხელის მოწვერა 1917 წლისათვის.

ერველ-გვირეული იუმორისტიული გამოცემა

„მშენებელ მათრაცენი“

უურნალის ფასი: 12 თვით 7 ბ. —

6	"	4	"	—
3	"	2	"	—
1	"	—	70	კ.

ადრესი: თიფლის, ს. რ. თავართვის სამსახურის მიმმართ მომსახურება. სტუმრის ვ. რუსხაშისა, გამაცემის შესახვ., № 1